სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №02-1149

ქ. თბილისი

17.06.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების" საფუძველზე, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის N7 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.2015 წლის 19 ივნისიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის მიმართულებით პროფესორის** აკადემიურ თანამდებობაზე.

2.კონკურსი უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს;

3. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ანკეტა (შევსებული);

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ოთხი ფოტოსურათი 3X4;

დ) სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი ცნობა;

ე) ერთი ნაშრომი, ან სამუშაოს აღწერა, რომელიც კანდიდატის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის შესაბამის გამოცდილებას;

ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) სამუშაო გამოცდილების შესახებ ცნობა.

4. კონკურსში მონაწილე კანდიდატთა პირადი მონაცემების შეფასება გამოცხადებული პოზიციისათვის მოხდება აკადემიური საბჭოს ან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს მიერ. გადაწყვეტილიების მიღებისას მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას კანდიდატების პროფესიული გამოცდილება, სპეციალური მომზადება ან/და პუბლიკაციები.

5. საკონკურსო განცხადებების მიღება იწარმოებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში, მის: ჩოლოყაშვილის გამზ. 3/5, 2015 წლის 20 ივლისიდან 2015 წლის 3 აგვისტოს ჩათვლით.
6. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2015 წლის 17 აგვისტოს.
7. საბუთები უნდა იყოს წარმოდგენილი აგრეთვე ელექტრონული ფორმით საბუთების ელექტრონული ვერსია უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე: info@iliauni.edu.ge
8.იმ კანდიდატთა საკონკურსო განაცხადები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ ამ გრძანებით გამოცხადებულ კონკურსში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში ინახება საკონკურსო შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში.
9.ამ გრძანების მე-8 პუნქტში მითითებულმა პირებმა, საკონკურსო განაცხადის დაბრუნების მიზნით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს განცხადებით უნდა მიმართონ კონკურსის შედეგების გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.
10.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს გრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
11.კანცელარიას დაევალოს გრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

რექტორი

გიგა ზედანია